დაუჯდომელი წმიდისა დიდმოწამისა და ძლევაშემოსილისა გიორგისი

კონდაკი 1

ზესთამბრძოლსა და ძლევაშემოსილსა გიორგის შევსწირავთ ქებასა, ვითარცა შუამდგომელსა ჩუენსა და მსწრაფლშემწესა. ხოლო შენ, წმიდაო გიორგი, რომელსა გაქუს კადნიერებაჲ წინაშე უფლისა, ყოველთაგან ვნებათა განგუათავისუფლენ ჩუენ, რაითა გიგალობდეთ: გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

იკოსი 1

ანგელოსთა შემოქმედმან და ყოვლისა არსისა დამბადებელმან მოგავლინა ეკლესიასა შინა სარწმუნოების მოსაგრედ უძლეველად და გვირგვინოსან მხედრად თვისა, ხოლო ჩუენ, შენის ღუაწლითა განთლებულთა, გუასწავა გალობაჲ ესე:

გიხაროდენ, ყოვლითა გულითა, გონებითა და სულითა შენითა იესო ქრისტეს შემყვარებელო;
გიხაროდენ, სახელისა მისისათვის სულისაცა სიყუარულით შემწირველო;
გიხაროდენ, ჭეშმარიტო აღმსარებელო;
გიხაროდენ, უფლის მადლით განბრწყინვებულო მოღუაწეო;
გიხაროდენ, ანგელოსთა თანამკვიდრო;
გიხაროდენ, წინასწარმეტყველებათა თანამდგომო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 2

ვერ დაგაბრკოლა, ღმრთისმოყვარეო, შენ სატანჯველმან კერპთმსახურთამან, არამედ ვითარცა ქრისტეს კეთილმან მხედარმან, გლახაკთა მიეც საჭურჭლე თვისი, ნებსით წარსდეგ წინაშე უსჯულოთა სამსჯავროისა და შენსა ღმერთსა, წინამძღუარსა ქრისტეს, უგალობე, ალილუია.

იკოსი 2

სცან რა შენ ღმერთი, ღმრთის შესაფერად სამპირად თაყუანისცემული, მტკიცითა გონებითა აღიარე იგი უსჯულოთა კრებულსა შინა და მით ამხილე უგუნურისა მეფისა ბრმაჲ თაყუანისცემაჲ ქმნილებათა მიმართ; ხოლო ჩუენ ვისწავეთ გულსმოდგინედ გალობაჲ ესე:

გიხაროდენ, მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისა უღმრთოთა მიმართ განმცხადებელო;
გიხაროდენ, კერპთმსახურებისა საცდურებათა მამხილებელო და დამამხობელო;
გიხაროდენ, ყოვლადწმიდისა სამებისა ერთგულო მცველო;
გიხაროდენ, ჭეშმარიტისა ღმრთისა ქადაგო;
გიხაროდენ, ღმრთივშუენიერო მოძღუარო;
გიხაროდენ, სიბრძნისა საუნჯეო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 3

დილეგსა შინა გუემული მოგიხილა შენ ძალმან ღმრთისამან, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად; რამეთუ სიმდაბლითა შენითა სიბრძნე მოიგე და საწუთოისა ამის ხრწნილებაჲ ყოველი მოიძაგე, მხოლოსა ქრისტესა ჰმსახურებდი და მხედრად მისსა იჩინე, ამისთვისცა ღჲრს იქმენ ანგელოსთა თანა მარადის გალობად, ალილუია.

იკოსი 3

ქრისტეს სახელის სადიდებელად საღმრთოჲთა მადლითა აღიძარ შენ, ყოვლადბრძენო გიორგი, რამეთუ გაქუნდა გული და გონებაჲ სულითა წმიდითა განათლებული; შეუორგულებელმან მცველმან სარწმუნოებისამან სისხლი დასთხიე და შეუპოვრად ამხილე უსჯულოთა აღზევებული ამპარტავნებაჲ. ამისთვის გადიდებთ და გიგალობთ:

გიხაროდენ, უღმრთოებისა განსაკვეთად აღმართულო მახვილო;
გიხაროდენ, სარწმუნოებისა სვეტო;
გიხაროდენ, შეურყეველო კედელო ქრისტეს ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ურწმუნოთათვის შიშის ზარის დამცემო;
გიხაროდენ, ღმრთისმსახურების დასაცავად მონიჭებულო ფარო;
გიხაროდენ, რჩეულო ჭურჭელო სულისა წმიდისაო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 4

მეფე უგნური ესწრაფდა სიკუდილსა შენსა, ჭირთა დამთმენელო გიორგი, და ვითარცა მგელსა მშიერსა, სწყუროდა სისხლი შენი. ამისთვისცა ბრძანა ურმისთუალსა ზედა წამებაჲ და საშინელთა სატანჯველთა მიცემა შენი, ხოლო შენ, უფლის მიერ ყოველივეს დამთმენელი, სასოებით მტკიცედ ხმობდი ღმერთსა, ალილუია.

იკოსი 4

ესმა რაი დიოკლეტიანეს და კერპთმსახურთა სიტყუანი სიბრძნისანი, გულისწყრომითა დიდითა აღვისნეს, უფროისღა განრისხნეს მაშინ, ოდეს რქუა მათ: ჰოჲ, მეფეო ბოროტო, რად მტანჯავ მე ამაოდ, „რამეთუ ჩემდა ცხოვრებაჲ ქრისტე არს და სიკუდილი - შესაძინელ“. ძნელად შემძლებელ არს შენთვის წინაშე ძალისა მისისა ცილობაჲ. ამისთვის გიღაღადებთ, სახარულევანო გიორგი:

გიხაროდენ, ჭეშმარიტისა რწმენისათვის ურმისა თუალსა ზედა სისხლისა დამთხეველო;
გიხაროდენ, სისხლითა შენითა სარწმუნოებისა განმადიდებელო;
გიხაროდენ, მოციქულთა მოშურნეო;
გიხაროდენ, ქრისტეს ვნებათა მიმბაძველო;
გიხაროდენ, ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა შეურყეველო მცველო;
გიხაროდენ, მრავალთა ტანჯვათა დამთმენელო, ანდამატისა უმტკიცესო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 5

ღმრთივმავალ ვარსკვლავსა ემსგავსე, გიორგი, ანგელოსისაგან სასწაულებრივ გაკურნებული. ურმისა

თუალისგან უვნებელად აღმდგარი ურწმუნოთა ერთარსებისა სამებისა რწმენასა ასწავებდი და შენ თანა მის მიმართ გალობასა, ალილუია.

იკოსი 5

ხედვიდა რაჲ ერი უსჯულოჲ შენ ზედა აღსრულებულსა სასწაულებრივსა ძალსა ღმრთისასა, სიმდაბლით მოიღებდა ქრისტეს მოძღურებასა და ხმითა დიდითა ღაღადებდა: „ჭეშმარიტად დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთაჲ!“ ამისთვისცა გიგალობთ, დიდებულო გიორგი, მაქებელნი შენნი ესრეთ:

გიხაროდენ, მოწამეობრივითა აღსარებლობითა კერპთმსახურთა მომაქცეველო;
გიხაროდენ, კაცთათვის ღმრთისა და მამულისა სიყუარულისა მქადაგებელო;
გიხაროდენ, ზეციურთა მხედრობათა თანა დამკვიდრებულო;
გიხაროდენ, მხედართა დიდებაო;
გიხაროდენ, მოწამეთა ბრწყინვალე დასისა შვენებაო;
გიხაროდენ, ნათელმფენითა სიტყვითა ურწმუნოებისა წყუდიადისა განმფანტველო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 6

სულითა წმიდითა განათლებულო ქადაგო ჭეშმარიტებისაო, მრავალთა ტანჯვათა დამთმენელო, შენ, ვითარცა იონა მუცელსა ვეშაპისასა, შთაგდებულ იყავ საკირესა, რათა დიდებულ გეყო საკვირველი წმიდათა შორის სახელი ღმრთისაჲ და საკირესა, ვითარცა საყდარსა, მყოფი გონიერად უგალობდი ღმერთსა, ალილუია.

იკოსი 6

ჯოჯოხეთისა და სიკუდილისა დამთრგუნველმან სამ დღე მკუდრეთით აღდგომილმან იესო ქრისტემან გიხსნა შენ საუკუნო ხრწნილებისაგან, მოწამეო გიორგი. ოდეს შენცა სამ დღე საკირესა მყოფი ღმრთისა მიმართ ხელაპყრობით მგალობელი გიხილეს, შეშინდნენ და შეძრწუნდნენ ფრიად, ხოლო ჩუენ ძლევისა სადიდებელსა სიხარულით შევწირავთ შენდა:

გიხაროდენ, სიმდაბლითა შენითა ეშმაკისა აღზევებულისა ამპარტავნებისა უძიროსა მთხრებლსა შთამგდებელო;
გიხაროდენ, ღმრთისა მიერ საკვირველად მრავალთა განსაცდელთაგან ხსნილო;
გიხაროდენ, მაჭირვებელთა მძვინვარებისა დამთრგუნველო;
გიხაროდენ, განურისხებელო, ძვირისმოქმედთათვის, ვითარცა პავლე ებრაელთათვის, მზრუნველო;
გიხაროდენ, რჩეულო ჭურო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 7

უღმრთოჲ მტანჯველი ყოვლით ღონითა ცდილობდა, გრძნეულებით კერპთათვის დაემონა გული შენი, ღმრთივრჩეულო, ხოლო შენ დავითის თანა იტყოდი: „ჰოი, ღმერთო ჩემო, ხსნაო და დიდებაო ჩემო!“ - და მტკიცედ უგალობდი მას, ალილუია.

იკოსი 7

განიზრახა რა ახალი შურისგებაჲ ეშმაკისა მსახურმან დიოკლიტიანე, კერპთა სათნოყოფისთვის ბრძანა წამლითა მოკუდინებაჲ შენი, ხოლო შენ სარწმუნოებითა და სასოებითა აღვსებულმან, შესუ შხამი და ეგე უვნებელად, ღმრთივგვირგვინოსანო, ამისთვის გიგალობთ:

გიხაროდენ, რამეთუ სასოებამან ღმრთისა ცხოველისამან არა სირცხვილეულ-გყო შენ;
გიხაროდენ, რამეთუ მაჭირვებელნი შენნი არარად შეჰრაცხენ;
გიხაროდენ, ეშმაკთა განმდევნელო;
გიხაროდენ, მოგუთა გრძნეულებისა დამარღვეველო;
გიხაროდენ, რამეთუ შენით ღმერთი წმიდათა შორის იხილვების;
გიხაროდენ, რამეთუ ღუაწლითა შენითა სახელი ქრისტესი ჭეშმარიტებით იდიდების;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 8

უცხოი და საშინელი იყო რჩევაჲ გრძნეულისა ათანასესი, რომელმან შთააგონა უწყალოსა მეფეს, ებრძანებინა შენთვის მკუდრისა აღდგინებაჲ ქრისტეს სჯულის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, ხოლო შენ, წმიდაო გიორგი, ეჭვშეურევლად უგალობდი მას, რომელი „არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ“, ალილუია.

იკოსი 8

შენ მიერ შეყუარებულსა ყოვლადსანატრელსა და სახიერსა იესოს ესმა რაჲ სარწმუნოებით მხურვალე ვედრებაჲ შენი, გიორგი, სახელისა თვისისა სადიდებელად და მორწმუნეთა განსამტკიცებლად მსწრაფლ ბრძანა სიტყვისაებრ შენისა აღდგინებაჲ მკუდრისაჲ. უსჯულონი და უგულისხმონი, მხილველნი ამისა, შეძრწუნდეს ფრიად და იცნეს ღმერთი, ამისთვისცა გიღაღადებთ:

გიხაროდენ, რამეთუ უფალმან ძალი საკვირველი ყო შენ ზედა;
გიხაროდენ, რამეთუ უფალმან შენ მიერ აღადგინა მკუდარი საფლავისაგან;
გიხაროდენ, ქუეყანისა საკვირველებაო;
გიხაროდენ, ქრისტიანთა ნათესავისა მოდგმისა დიდებაო;
გიხაროდენ, კერპთაყუანისმცემლობით დაბრმავებულთა მოგუთათვის სარწმუნოებისა ნათლისა მიმნიჭებელო;
გიხაროდენ, ქრისტესთვის წამებულთათვის სასუფეველისა გზისა მაჩუენებელო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 9

დასნი ანგელოსთანი აქებენ ღმერთსა, ესევითარის სიმხნისა შენსა მომნიჭებელსა, რამეთუ საპყრობილესაცა შინა არა დასცხრებოდი ლოცვითა და მღვიძრებითა; ამისთვის, ვითარცა დიდი მესაიდუმლე ღმრთისაჲ ღირს იქმენ, წმიდაო გიორგი, ხილვად უფლისა და უჭნობითა გვირგვინითა შემკობად თავისა, ხოლო ჩვენ შენ თანა ვისწავეთ ღაღადებაჲ, ალილუია.

იკოსი 9

არცა რიტორთა მრავლისმეტყველთა ძალუც გამოთქმაჲ შენისა ღუაწლისა და ტანჯვისაი, წმიდაო გიორგი, რომელი ნებსით თავს-იდევ ქრისტესათვის და ეკლესიისა მისისათვის, ხოლო ჩუენ, განკვირვებულნი, გაქებთ და ვხმობთ ესრეთ:

გიხაროდენ, რამეთუ მოწამეობრივითა სიკუდილითა ძუელი ადამი ჯუარს-ეცუა შენში;
გიხაროდენ, წამებისა წილ სიმართლისა გვირგვინისა მომღებელო;
გიხაროდენ, ღმრთისმსახურთა სახეო;
გიხაროდენ, ჭეშმარიტად გლახაკო სულითა;
გიხაროდენ, რამეთუ სათნო-ეყავ ქრისტესა;
გიხაროდენ, მრავალ ტანჯვათა დამთმენელო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 10

გენება რაჲ, წმიდაო გიორგი, კერპთა წყუდიადსა წინა დანთქმულ სულთა ცხოვნებაჲ, შეხუედ ტაძრად წარმართთა და ღმრთისა მიმბაძველმან წმიდისა ილიაჲს მსგავსად მუნით განასხენ ეშმაკნი, შეჰმუსრენ კერპნი, არცხვინე ქურუმთა და მძლეველი მათი ანგელოსთა თანა უგალობდი ღმერთსა, ალილუია.

იკოსი 10

ვერ გულისხმა-ჰყო გულქვა მტანჯველმან ღმერთი, რომელი სასწაულთმოქმედებდა შენით. არა დაუტევა მან უგუნურებაჲ, იქმნა იგი ყრუ მსგავსად ასპიტისა და ბრძანა თავისა მოკუეთაჲ შენთვის, ვითარცა დიდისა ბოროტმოქმედისათვის; ხოლო შენ სიხარულით მიემთხვიე აღსასრულსა, დაღაცათუ იტანჯებოდი სულისა მისისა წარწყმედისათვის; ამისთვის სასოებით გადიდებთ შენ, წმიდაო გიორგი, და ვხმობთ ესრეთ:

გიხაროდენ, რწმენით, სასოებითა და სიყვარულითა აღნთებულო ლამპარო;
გიხაროდენ, სიცოცხლისა აღსასრულისა ჟამსა დიდთა სასწაულთა გამომაჩინებლო;
გიხაროდენ, ამად სოფლადვე ღმრთისა საჭურველითა შემკულო;
გიხაროდენ, დიდებითა და შუენებითა ქებულო ცათა შინა;
გიხაროდენ, ქრისტეს უებრო მხედარო;
გიხაროდენ, კაცო ღმრთისაო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 11

ყოვლადწმიდისა სამებისა საგალობელი სხუათა უმეტეს აღავლინე, წმიდაო გიორგი, არათუ სიტყვითა და გონებითა ოდენ, არამედ მრავლითა მოთმინებითა და მოწამეობითა შენითა; მოყუასისათვის თავისა განწირვით ემსგავსე შენ ქრისტეს, ტარიგსა უბიწოსა, ამისთვისცა მადლობით ვუგალობთ ღმერთსა, ალილუია.

იკოსი 11

ჭეშმარიტისა ნათლისა მომღებელად გიცნობთ შენ, ნათელო გიორგი, რომელი განაბრწყინებ მორწმუნეთა გულსა, გონებასა მათსა ღმრთისა თანა მიაქცევ და გუასწავებ სიხარულით შენდა ხმობასა:

გიხაროდენ, რამეთუ დაუვალისა მზისა ნათელსა ეზიარები;
გიხაროდენ, გლახაკთა ხელის აღმპყრობელო;
გიხაროდენ, ტყუეთა განმათავისუფლებელო;
გიხაროდენ, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო;
გიხაროდენ, მართლმადიდებელთა მხედრობისა შემწეო;
გიხაროდენ, ცოდვილთა ცხონებისათვის მხურვალეო მეოხო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 12

მადლშემოსილო წინამბრძოლო ჩუენო, დიდმოწამეო გიორგი, სიხარულით ვდღესასწაულობთ ხსენებასა შენსა და სასწაულთმოქმედისა ხატისა შენისა მიმართ გულსმოდგინედ მოვილტვით ღმრთივყოვლადძლიერითა შეწევნითა შენითა, ვითარცა ზღუდითა უძლეველითა, შევიცვებით, ამისთვის გაქებთ და სასოებით ვუღაღადებთ ღმერთსა, ალილუია.

იკოსი 12

ვუგალობთ სასწაულებრივსა აღსრულებასა შენსა, ტანჯვათ დამთმენელო გიორგი, რომლითაცა განიდიდე ფრიად, ვითარცა ღვთივგვირგვინოსანი მხედარი ქრისტესი. გუექმენ ჩუენ შემწედ ყოველსა საქმესა შინა და ისმინე გულსმოდგინე ვედრებაჲ ჩუენი:

გიხაროდენ, რამეთუ შენით მორწმუნეთა ეკლესიაჲ განათლდების;
გიხაროდენ, რამეთუ სახელი შენი წარმართთა შორის შიშით იდიდების;
გიხაროდენ, ჭეშმარიტთა აღმსარებელთა დიდებაო;
გიხაროდენ, მოწამეთა სიქადულო;
გიხაროდენ, სალმობათა ჩვენთა კურნებაო;
გიხაროდენ, სულთა ჩვენთათვის მეოხო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 13

ჰოი, ყოვლადნეტარი, წმიდაო დიდო მოწამეო გიორგი, მიითუალე საგალობელი ესე ქებისა და ღმრთისა მიმართ შუამდგომელობითა შენითა გვიხსენ ჩუენ ყოვლისაგან ბოროტისა, რაჲთა შენ თანა ვღაღადებდეთ: ალილუია, ალილუია, ალილუია (3-გზის).